საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 11

2020 წ. "28" 02

ქ.თბილისი

შპს - საქართველოს უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 04 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ თუ აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან" და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

თავმჯდომარე

მდივანი

1.3. აკრედიტაციის დებულების 27[5] მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2019 წლის 02 აგვისტოს შპს - საქართველოს უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა №03-7892 (ცენტრში რეგისტრაციის №1019250, ცენტრში რეგისტრაციის 2019 წლის 05 აგვისტო) სააკრედიტაციო განაცხადი „ინგლისური ფილოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 03 სექტემბრის №782 ბრძანების საფუძველზე, შპს - საქართველოს უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 26 ნოემბრის №1142 ბრძანებით შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2019 წლის 17 დეკემბერს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი შპს - საქართველოს უნივერსიტეტში, ხოლო 2020 წლის 20 თებერვალს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თავმჯდომარე

მდივანი

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2020 წლის 28 თებერვალს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

2.5. საბჭომ გაიზიარა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული შემდეგი რეკომენდაციები:

ა) გაძლიერდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაცია; უნივერსიტეტის სხვადასხვა სკოლებთან თანამშრომლობით განხორციელდეს კონკრეტული აქტივობები ერთი მხრივ, სტუდენტთა საერთაშორისო მასშტაბით ინტერესის გაღვივების, სამეცნიერო გააქტიურების, წახალისებისა და მათი საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებისადმი მომზადების კუთხით, ხოლო მეორე მხრივ, უცხოელი ექსპერტებისა და სპეციალისტების მეტად ჩართულობით პროგრამაში; ასევე, უნივერსიტეტის აფილირებულ პერსონალს მიეცეს ფინანსური მხარდაჭერა საერთაშორისო დონეზე, მაღალი ციტირების მქონე ინდექსირებად ჟურნალებში გამოაქვეყნოს კვლევის შედეგები;

ბ) გადაიხედოს პროგრამის სტრუქტურა და შრომითი ბაზრის მოთხოვნების უკეთ საპასუხოდ განიხილოს ანდრაგოგიკის საფუძვლებისა და ქართულ ენაზე რედაქტირებაზე მორგებული სასწავლო კურსების ჩართვა პროგრამაში; ასევე სასურველია, მაგისტრანტების წახალისება სწავლების მეთოდებისა და ეთიკის ნორმების შესახებ ორგანიზებულ ტრენინგებში;

გ) გადაიხედოს სასწავლო მასალა და გამდიდრდეს უახლესი გამოცემებით და ავთენტური მასალით; ენობრივი კომპეტენციის ფორმირებაზე ორიენტირებულ კურსებში მეტად ინტეგრირდეს ავთენტური, ცოცხალი ენის შემცველი ინგლისურენოვანი მასალა. ასევე, ინგლისური ენა I და ინგლისური ენა II-ის სასწავლო მასალას დაემატოს შესაბამისი დონის C1 ტესტების კრებული;

დ) პროგრამის ჯგუფის მიერ გააქტიურდეს მუშაობა პრაქტიკული კომპონენტის დაგეგმვისა და განხორციელების მიმართულებით;

ე) პროგრამაში და მისი შემადგენელი კურსების სილაბუსებში გაიმიჯნოს სწავლა/სწავლების მეთოდები და აქტივობები; ეს უკანასკნელი გამდიდრდეს პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული აქტივობებით, რომლებიც დაკონკრეტდება შესაბამისი კურსის სილაბუსებში;

ვ) ლექციისა და სემინარის მეთოდებს დაემატოს კოლაბორაციული სწავლება, რაც მოიცავს ჯგუფურ პროექტებსა და პრეზენტაციებს;

ზ) შეიქმნას სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური პროგრამა;

თ) მეტი დამოუკიდებლობა მიეცეს მაგისტრანტს სამაგისტრო თემის შერჩევის დროს; კვლევაში-სამაგისტრო ნაშრომის წერის პროცესში გააქტიურდეს ონლაინ სამეცნიერო ბაზების გამოყენება სტუდენტების მიერ;

თავმჯდომარე

მდივანი

ი) უფრო მეტად იყოს აკადემიური პერსონალი ჩართული და ინტეგრირებული საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობებში მათი ინტერნაციონალიზაციის პროცესებში სრულფასოვნად ჩართვისთვის.

3. სარეზოლუციო ნაწილი

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-5, მე-7 პუნქტების, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს - საქართველოს უნივერსიტეტის 2019 წლის 02 აგვისტოს №03-7892 (ცენტრში რეგისტრაციის №1019250, ცენტრში რეგისტრაციის 2019 წლის 05 აგვისტო) სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს - საქართველოს უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას საბჭოს 2020 წლის 28 თებერვლის №03 სხდომის ოქმის №03 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. საბჭომ გაიზიარა შემდეგი რეკომენდაციები:

ა) გაძლიერდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაცია; უნივერსიტეტის სხვადასხვა სკოლებთან თანამშრომლობით განხორციელდეს კონკრეტული აქტივობები ერთი მხრივ, სტუდენტთა საერთაშორისო მასშტაბით ინტერესის გაღვივების, სამეცნიერო გააქტიურების, წახალისებისა და მათი საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებისადმი მომზადების კუთხით, ხოლო მეორე მხრივ, უცხოელი ექსპერტებისა და სპეციალისტების მეტად ჩართულობით პროგრამაში; ასევე, უნივერსიტეტის აფილირებულ პერსონალს მიეცეს ფინანსური მხარდაჭერა საერთაშორისო დონეზე, მაღალი ციტირების მქონე ინდექსირებად ჟურნალებში გამოაქვეყნოს კვლევის შედეგები;

ბ) გადაიხედოს პროგრამის სტრუქტურა და შრომითი ბაზრის მოთხოვნების უკეთ საპასუხოდ განიხილოს ანდრაგოგიკის საფუძვლებისა და ქართულ ენაზე რედაქტირებაზე მორგებული სასწავლო კურსების ჩართვა პროგრამაში; ასევე სასურველია, მაგისტრანტების წახალისება სწავლების მეთოდებისა და ეთიკის ნორმების შესახებ ორგანიზებულ ტრენინგებში;

გ) გადაიხედოს სასწავლო მასალა და გამდიდრდეს უახლესი გამოცემებით და ავთენტური მასალით; ენობრივი კომპეტენციის ფორმირებაზე ორიენტირებულ კურსებში მეტად ინტეგრირდეს ავთენტური, ცოცხალი ენის შემცველი ინგლისურენოვანი მასალა. ასევე, ინგლისური ენა I და ინგლისური ენა II-ის სასწავლო მასალას დაემატოს შესაბამისი დონის C1 ტესტების კრებული;

დ) პროგრამის ჯგუფის მიერ გააქტიურდეს მუშაობა პრაქტიკული კომპონენტის დაგეგმვისა და განხორციელების მიმართულებით;

თავმჯდომარე

მდივანი

ე) პროგრამაში და მისი შემადგენელი კურსების სილაბუსებში გაიმიჯნოს სწავლა/სწავლების მეთოდები და აქტივობები; ეს უკანასკნელი გამდიდრდეს პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული აქტივობებით, რომლებიც დაკონკრეტდება შესაბამისი კურსის სილაბუსებში;

ვ) ლექციისა და სემინარის მეთოდებს დაემატოს კოლაბორაციული სწავლება, რაც მოიცავს ჯგუფურ პროექტებსა და პრეზენტაციებს;

ზ) შეიქმნას სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური პროგრამა;

თ) მეტი დამოუკიდებლობა მიეცეს მაგისტრანტს სამაგისტრო თემის შერჩევის დროს; კვლევაში-სამაგისტრო ნაშრომის წერის პროცესში გააქტიურდეს ონლაინ სამეცნიერო ბაზების გამოყენება სტუდენტების მიერ;

ი) უფრო მეტად იყოს აკადემიური პერსონალი ჩართული და ინტეგრირებული საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობებში მათი ინტერნაციონალიზაციის პროცესებში სრულფასოვნად ჩართვისთვის.

5. ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 6 თვე - 2020 წლის 07 სექტემბრამდე.

6. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2020 წლის 04 მარტს.

7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული

საბჭოს მდივანი ნიკოლოზ კიკნაძე

დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	ინგლისური ფილოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[2]	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2015 წლის 21 იანვარი, №8
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3]	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური[4]	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე[5]	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6]	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0231 ენის დაუფლება
12	კვალიფიკაციის კოდი[7]	0231
13	სწავლების ენა	ქართული[8]
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
15	განხორციელების ადგილი[9]	საქართველო 0171, ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №77ა, IV კორპუსი
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
17	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2020 წლის 04 მარტი
18	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის	ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა - 6 თვე (2020 წლის 07 სექტემბრამდე)

[1] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[2] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[3] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[4] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[5] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[6] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[7] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი
[8] ინგლისური კომპონენტით
[9] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

თავმჯდომარე

მდივანი

	წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[10]	
19	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2027 წლის 04 მარტი

[10] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

თავმჯდომარე

მდივანი